www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სოფლის მეურნეობა 2018

I კვარტალი

(წინასწარი შედეგები მეცხოველეობის შესახებ)

18.05.2018

www.geostat.ge

18.05.2018

საქართველოს სოფლის მეურნეობა
2018 წლის I კვარტალი
(წინასწარი მონაცემები მეცხოველეობის შესახებ)

წინასწარი მონაცემებით, 2018 წლის I კვარტალის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობამ 984.1 ათასი სული შეადგინა და 2017 წლის I კვარტალთან შედარებით 5.0 პროცენტით შემცირდა. აქედან ფურისა და ფურკამეჩის ჯამურმა რაოდენობამ 473.2 ათასი სული შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 6.0 პროცენტით ნაკლებია.

ცხვრისა და თხის ჯამური რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 3.2 პროცენტით გაიზარდა და 1.3 მლნ. სულს მიაღწია.

ღორების რაოდენობა 177.2 ათასი სულით განისაზღვრა, რაც 10.2 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ფრინველის რაოდენობამ 8.4 მლნ. ფრთა შეადგინა, რაც 2.4 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობა, აგრეთვე, ფრინველის რაოდენობა 2014-2018 წლების I კვარტალის ბოლოსათვის.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2014-2018 წლების I კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

ცხვრისა და თხის სულადობა 2014-2018 წლების I კვარტალის ბოლოსათვის
(ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

ღორის სულადობა 2014-2018 წლების I კვარტალის ბოლოსათვის
(ათასი სული)



* წინასწარი მონაცემები.

ფრინველის რაოდენობა 2014-2018 წლების I კვარტალის ბოლოსათვის
(ათასი ფრთა)



* წინასწარი მონაცემები.

წინასწარი მონაცემებით, 2018 წლის I კვარტალში რძის წარმოებამ 98.3 მლნ. ლიტრი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.4 პროცენტით ნაკლებია.

ხორცის წარმოებამ 15.0 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2017 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 9.5 პროცენტით მეტია.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოებულია 161.7 მილიონი ცალი კვერცხი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 10.2 პროცენტით აღემატება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია 2014-2018 წლების I კვარტალში წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების დინამიკა.

რძის წარმოება 2014-2018 წლების I კვარტალში
(მლნ. ლიტრი)



* წინასწარი მონაცემები.

ხორცის წარმოება 2014-2018 წლების I კვარტალში
(დაკლული წონა, ათასი ტონა)



* წინასწარი მონაცემები.

კვერცხის წარმოება 2014-2018 წლების I კვარტალში
(მლნ. ცალი)



* წინასწარი მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში დეტალურად არის წარმოდგენილი 2017-2018 წლების მაჩვენებლები ქვეყანაში არსებული პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის ექსპორტ-იმპორტის, ასევე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ, კვარტალურ ჭრილში.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა 2017-2018 წლებში კვარტალის ბოლოსათვის (ათასი სული)

	2017*				2018*
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	1 035.7	1 018.9	952.5	900.4	984.1
მათ შორის ფური და ფურკამეჩი	503.3	492.3	473.4	462.8	473.2
ღორი	160.8	194.6	233.8	164.5	177.2
ცხვარი და თხა	1 272.4	1 231.9	1 057.4	966.5	1 313.1
ფრინველი (ათასი ფრთა)	8 175.6	11 718.2	9 528.0	8 046.4	8 374.5

* წინასწარი მონაცემები.

ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის ექსპორტი 2017-2018 წლებში (ათასი სული)

	2017*				2018*
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	37.5	32.7	42.1	20.5	18.5
ღორი	-	-	-	-	-
ცხვარი და თხა	14.5	16.2	51.0	9.3	2.4
ფრინველი (ათასი ფრთა)	337.0	854.5	761.9	419.2	619.6

* წინასწარი მონაცემები.

ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველის იმპორტი 2017-2018 წლებში (ათასი სული)

	2017*				2018*
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	0.9	1.6	1.3	1.3	0.6
ღორი	7.1	10.5	10.2	10.0	5.5
ცხვარი და თხა	-	6.4	0.8	11.6	31.6
ფრინველი (ათასი ფრთა)	502.6	446.5	480.0	346.6	529.1

* წინასწარი მონაცემები.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 2017-2018 წლებში

	2017*				2018*
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.
ხორცი (დაკლული წონა, ათასი ტონა)	13.7	14.4	12.0	19.3	15.0
რძე (მლნ. ლიტრი)	99.7	183.6	142.0	76.6	98.3
კვერცხი (მლნ. ცალი)	146.7	151.4	135.3	145.8	161.7

* წინასწარი მონაცემები.

2017 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2018 წლის 15 ივნისს.

2018 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2019 წლის 17 ივნისს.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

გამოყენებული პირობითი აღნიშვნა:

- მოვლენა არ არსებობს.

საკონტაქტო პირი: ვასილ წაქაძე
ტელ: (+995 32) 236 72 10 (500)
E-mail: vtsakadze@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge